1 დეკემბერი

2017 პარასკევი

დან 7,2-14; საგ.: დან 3,75-81; ლკ 21,29-33

ცა და მიწა გადავა,
მაგრამ ჩემი სიტყვა არ გადავა ლკ 21,33

იესოს სიტყვაა ის კლდე, რომელზეც უნდა დავაყრ-
დნოთ სახლის საძირკველი. მუდამ ეძიე, იცხოვრე
ამ სიტყვით, დაიცავი შენში მუდამ. და შენი ცხო-
ვრება არ დაიფლითება, არ გაქრება არარაობაში,
როგორც ქრებიან ის საგნები, რომლებიც მხოლოდ
ერთი წუთით მოჩანან მნიშვნელოვანი.
ილაპარაკე, უფალო, შენი მსახური გისმენს!

2 დეკემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II] მწ

(19.XI) წმ. ილარიონ ქართველი, +875

2017 შაბათი

დან 7,15-27; საგ.: დან 3,82-87; ლკ 21,34-36

იფხიზლეთ ყოველ წუთს ლკ 21,36

ვინც ფხიზლადაა, მან უწყის, სად არის, რა ხდება, ვინაა მის ირგვლივ და იცის რა ევალება მას. იესო ხშირად გვავალებს, ვიფხიზლოთ, რაკი უწყის, რომ იოლად გვეფანტება გულისყური და ზედაპირულები ვართ. ვინც არა ფხიზლობს, ეძლევა სიამეებსა და მოკალათებულ ცხოვრებას და ვერ ამჩნევს იმ შემთხევევებს, როდესაც შეუძლია შეიყვაროს და დაამოწმოს უფალი.

3 დეკემბერი

ადვენტის I კვირადღე, «ბ», [I], ი

2017 კვირა

ეს 63,16ბ–17.19ბ;64,2–7; ფს 79; 1კორ1,3–9; მარ 13,33–37

ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

როგორც შორ გზაზე მიმავალმა კაცმა მისცეს დავალება თითოეულს მარ 13,34

დღეს იწყება ჟამი, როდესაც ვვარჯიშობთ მოლოდინში. მოველით მას, ვინც გაემგზავრა და თვალს მოეფარა. იგი დაგვპირდა, რომ დაბრუნდებოდა და მისცა ყველას თავთავისი დავალება, რითიცა ვართ დაკავებულნი მის სახლში მსახურებით, მისდა სადიდებლად. იესო გაემგზავრა: დაგვიტოვა თავისი ნდობა, თითოეულს დავალება მისცა, რათა მისი სახლი ცოცხლად მოქმედებდეს, ისე, როგორც მისი აქ ყოფნისას. მისი დაბრუნების მოლოდინში მისი ერთგული ვარ.

4 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I] ი

წმ. იოანე დამასკელი, ხუც. და მოძ., +749

2017 ორშაბათი

ეს 2,1-5; ფს 121; მთ 8,5-11

მოდით, ავიდეთ უფლის მთაზე ეს 2,3

ვიწყებთ ადვენტის ჟამის გზას. ის მთაზე ასასვლელ ბილიკს ჰგავს, რთულ, თუმცა სიხარულით სავსე მიზნისკენ სავალ გზას. მწვერვალზე შევხვდებით უფალს, რომელსაც ვუყვარვართ და გვიხსნის, როგორც ისრაელის მომლოცველებს მთის წვერზე ელოდათ ტაძარი, ღვთის სახლი. გარჯა არ დაგვეზარება და მოკალათებულ ცხოვრებას მივატოვებთ, რათა ვისმინოთ მამის სიტყვა და ვიცხოვროთ მისით: შევხვდებით იესოს, ჩვილს, ღმერთის ნამდვილ ტაძარს, რომელიც აღგვავსებს სიხარულით, სიცოცხლითა და მშვიდობით.

5 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I] ი

2017 სამშაბათი

ეს 11,1-10; ფს 71; ლკ 10,21-24

იესეს კუნძიდან ყლორტი ამოვა ეს 11,1

ყლორტი ახალი ხის დასაწყისია, ახალგაზრდა, ძლიერი, ახალი ნაყოფით მდიდარი ხისა. იესოა ყლორტი, ახალი ერის დასაწყისი, ახალი სამყარო, სადაც სუფევს ნამდვილი სიყვარული და საყოველთაო სამართალი. იზრდება იესეს, დავითის მამის კუნძიდან. იგია დავითის ძე და საფუძველს უდებს ერს, რომელიც შემოკრებს და აერთიანებს ყველა ხალხებს.

6 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I], თ

წმ. ნიკოლოზი, ეპისკოპოსი, +326, (მ)

2017 ოთხშაბათი

ეს 25,6-10; ფს 22; მთ 15,29-37

მის ირგვლივ დიდძალი ხალხი შეიკრიბა მთ 15,30

ზღვა ტანჯვას ატარებს ეს ხალხი: *„კოჭლნი, ხეიბარნი, ბრმანი, ყრუნი და მრავალი სხვა სნეული“*. ეს ხალხი მიხვდა, რომ იესოს სურს მიიღოს ყველა, რათა შეაძლებინოს მათ ღმერთთან სირცხვილის გარეშე შეხვედრა. იგი სნეულთა განკურნებით როდი კმაყოფილდება, აპურებს ყველას, ჯანმრთელებსაც. იესო ჯანსაღსაც მოელის, რათა ყველას მისცეს ის საზრდო, რომელიც კვებავს ახალ სიცოცხლეს და იძლევა ერთად პურის ჭამის სიხარულს, მისი მსახურებით, როგორც დიდ ზეიმზე.

7 დეკემბერი

2017 ხუთშაბათი

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

მუდამ ესავდეთ უფალს ეს 26,4

რამდენგვარად გვწვდება ეს მოხმობა! ესავდე უფალს: მას სურს ჩვენი სიკეთე, ვუყვარვართ, სურს ჩენი ხსნა, გაგვათავისუფლოს მხუთავი ბატონების მონობიდან. დაჰყევი უფალს, დაუგდე ყური და შეასრულე მისი სიტყვა: აღარ იქნები სხვების მონა!

8 დეკემბერი

2017

უმანკოდ ჩასახვა
ნეტარი ქალწული მარიამისა, დდ, [ს], თ

პარასკევი

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ეფ 1,3-6.11-12; Lკc 1,26-38

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ის შეშფოთდა ამ სიტყვებზე და ჩაფიქრდა, რას ფონდა ნიშნავდესო ეს მისალმება ლკ 1,28

ანგელოზი ეუბნება მარიამს, გიხაროდენო და იგი შეშფოთდება ამ სიტყვაზე. მან უწყის, რომ სიხარული, რომელსაც წინასწარმეტყველნი აუწყებდნენ ერს, მესიის მოსვლის შედეგია, ამიტომაც ხვდება, თუ რამხელა მისიის აღებას სთხოვენ მას, ესოდენ მცირესა და უუნაროს. და მაინც არ უარობს, მხოლოდ სურს გაიგოს ღვთის ნება, რათა მიიღოს ის შეგნებულად და სულგრძელად.

9 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I] ი

წმ. ხუან დიეგო კუაუჰტლატოაწინი, +1548

2017

შაბათი

ეს 30,19-21.23-26; ფს 146; მთ 9,35 – 10,1.6-8

შეგიწყალებს ის შენი ღაღადის ჴმასუხად ეს 30,19

სასოს ნურასოდეს წარიკვეთავ. როდესაც ტანჯვა გეწვევა, ან ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდები, რომ გამოსავალი არა ჩანს, კვლავ რწმენით მიმართე უფალს, დარწმუნებული იმაში, რომ მას მოსმენა არ უჭირს. და თუკი გგონია, რომ სიცარიელეში ლაპარაკობ, განაგრძე და იმეორე ვედრება. ამგვარად აჩვენებ ღმერთს, რომ სრულებითაც არ გინდა მისი მიტოვება და არ აპირებ სხვებს მიმართო. იგი ერთგულია და შენს ერთგულებას პასუხობს.

10 დეკემბერი

ადვენტის II კვირადღე, «ბ», [II], ი

2017 კვირა

ეს 40,1-5.9-11; ფს 84; 2პეტ 3,8-14; მარ 1,1-8

მოუმზადეთ გზა უფალს,
მოუსწორეთ ბილიკები მარ 1,3

უფლის გზები პირდაპირია: არ მიედმოედება, არ ამბობს ჯერ ჰოს და მერე არას, არ აკეთებს იმისათვის რომ დაშალოს. მას გზებს ვუსწორებ მაშინ, როცა მხოლოდ მას მოველი და მივყვები მხოლოდ მას, სხვა საგნებში გაფანტვის გარეშე, თუნდაც ლამაზი და კარგი იყოს ისინი.

11 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

წმ. დამას I, პაპი, + 384

2017 ორშაბათი

ეს 35,1-10; ფს 84; ლკ 5,17-26

მ. კონსტანტინე საფარიშვილის მოხსენიება (+1973)

გამხნევდით, ნუ შიშობთ! ეს 35,4

ესაია ეუბნება გადასახლებულებს, რომ შინ დაბრუნების იმედი არა აქვთ. დღეს უფალი ჩვენც გვეუბნება, რომ მრავლადა გვაქვს სევდით, უიმედობით თუ შიშით ცხოვრების მიზეზი. უფალი კვლავაც იგია, იგი ისევე ძლიერია, როგორც მაშინ, როცა მეწამული ზღვა დააშრო, მის ერს რომ გაეარა. *„ნუ შიშობთ“*: ბიბლიაში ეს სიტყვა 365-ჯერ მეორდება! თუ შიში გეუფლება, ეს იმის ნიშანია, რომ არ ცხოვრობ რწმენით.

12 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

გვადალუპეს ნეტარი ქალწული მარიამი - 1531
(29.XI) წმ.აბიბოს ნეკრესელი, ეპ.,წამ. (VIს.)

2017

სამშაბათი

ეს 40,1-11; ფს 95; მთ 18,12-14

ძლიერად აიმაღლე ხმა,
სიკეთის მაუწყებელო ეს 40,9

იესომ ეს სიტყვა შეასრულა, როდესაც ტაძრის მოედანზე, კარვობის ზეიმის ბოლო დღეს ხმამაღლა შესძახა: *„ვისაც სწყურია, მოვიდეს ჩემთან“*! კარგმა ამბავმა ყველას ყურამდე უნდა მიაღწიოს: არ უნდა ვიჩურჩულოთ, არამედ ძლიერად წარმოვთქვათ. შენც მიდი იესოსთან, იგი აგავსებს, შენი წყურვილი დაოკდება და შეიძენ სიხარულსა და ხმამაღლა ყვირილის გამბედაობას, აუწყებ ყველას სასიხარულო ამბავს, რომელსაც გვანიჭებს: მამის გულმოწყალებას.

13 დეკემბერი

2017

ადვენტის II კვირა [II] წ
წმ. ლუცია, ქალწ. და წამ., +404 (მ);
(30.XI) წმ. ვახტანგ გორგ., +502; წმ. პეტრე კათოლიკოსი Vს;
წმ. სამოელ კათოლიკოსი V-VIსს

ოთხშაბათი

ეს 40,25-31; ფს 102; მთ 11,28-30

მოდით ჩემთან ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ მთ 11,28

იესო, შენ კარგად უწყი, რომ უძლურნი ვართ,
რადგან ჩვენმა ცოდვამ მოგვისპო ძალები;
უწყი, რომ გასრესილნი ვართ, რადგან
ჩვენმა თავკერძობამ დაგვაცარიელა.
შენა გაქვს ახალი ძალები და ნამდვილი სიხარული
ჩვენს გასაახლებლად და წამოსაყენებლად!
შენთან მოვდივართ, რადგან თავად შენ მოგვიხმე.

14 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] თ

წმ. იოანე ჯვრისა, ხუც. და მოძ., +1591, (მ)

2017 ხუთშაბათი

ეს 41,13–20; ფს 144; მთ 11,11–15

ნუ შიშობ, მე მოვალ შენს შემწედ ეს 41,13

ხშირად ვიმყოფებით რთულ მდგომარეობაში, ტანჯვასა თუ საფრთხეში, ჯანმრთელობას რომ ემუქრება ან ცოდვაში ჩავარდნის საფრთხეში. უფალი გვეუბნება *„ნუ შიშობ“*, არა იმიტომ, ვითომ ძლიერნი ვიყოთ, ან შეგვწევდეს უნარი ან გამჭრიახობა თავის დასაძვრენად, არამედ „ნუ შიშობ, რადგან მე ვარ აქ“, „ნუ შიშობ, რადგან მე ვარ შენთან“, „ნუ შიშობ, ჩემი იმედი გქონდეს“!

15 დეკემბერი

2017

ადვენტის II კვირა [II] ი

(2.XII) წმ. ისე წილკნელი, VIს.

პარასკევი

ეს 48,17-19; ფს 1; მთ 11,16-19

მე ვარ უფალი, შენი ღმერთი,
რომელიც მიგიძღვის იმ გზაზე,
რომელზეც უნდა დადიოდე ეს 48,17

ღმერთი მბრძანებლობის მოყვარული თავნება როდია. იგი მუდამ მამაა, მუდამ მზადაა ემსახუროს: დღეს წინასწარმეტყველი მას წარმოგვიდგენს როგორც იმას, ვინც გვემსახურება ჩვენთვის სავალი გზის მითითებითა და მეგზურობით.

16 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2017 შაბათი

ზირ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

ელია უკვე მოვიდა და ვერ იცნეს იგი მთ 17,12

იესო გვესაუბრება იოანე ნათლისმცემელზე, რომელმაც წინასწარმეტყველური სულით გაამზადა ერი ცოდვათა მოსანანიებლად, რათა მიეღოთ იგი და მისეული უწყება მამის გულმოწყალებაზე. მაგრამ იოანე მოკლეს. დღესაც არ შემცირებულა იესოს გულისტკივილი იმათი შემხედვარე, ვინც სახარებისა და მის მოთხოვნათა ქადაგებისათვის დაცინვისა და უგულებელყოფის საგანი ხდება.

17 დეკემბერი

ადვენტის III კვირადღე, «ბ», [III], ვ

2017 ვირა

ეს 61,1–2.10–11; საგ.: ლკ 1,46–50.53–54; 1თეს 5,16–24; იო 1,6–8.19–28

იგი მოვიდა როგორც მოწმე ნათლის დასამოწმებლად იო 1,7

იესო განუცხადებს პილატეს, რომ ჭეშმარიტების დასამოწმებლადაა მოსული. იგივეს გვეუბნება დღეს იოანე მახარებელი, რათა შეგვამზადოს ბავშვად მი-საღებად. ვინც იესოს ხედავს და ღებულობს, წყვდი-ადში აღარაა, რადგან იწყებს ღმერთის ნათლის დანახვასა და მისით გახარებას. როდესაც იესო მოვა შენთვის, მაშინ ყველა და ყველაფერი შენს თვალში იძენს თავიანთ ნამდვილ მნიშვნელობას: ადამიანები იქცევიან შენს ძმებად, საგნები კი ღვთის საჩუქრად, და ყოველ მოვლენაში შეგიძლია დაინახო სიყვარუ-ლი, რომელიც მათში ჩაუდია მამას.

18 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2017 ორშაბათი

იერ 23,5-8; ფს 71; მთ 1,18-24

იგი ვაარჩენს ძეს და შენ მას დაარქმევ იესოს მთ 1,21

იოსებიც მონაწილეა მარიამისადმი მინდობილი მადლისა. ახლა იგი გებულობს, თუ ვინაა მისი ცოლი, რაოდენ მაღალი და მშვენიერია, რაკი ღმერთს ჰყვარებია და აურჩევია თავის ჩანაფიქრთა განსახორციელებლად. თავადაც მნიშვნელოვანი ხდება, მნიშვნელოვანი ღვთისათვის, მისდამი მორჩილებით.

19 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2017 სამშაბათი

მსჯ 13,2-7.24-25; ფს 70; ლკ 1,5-25

ნუ შიშობ, ზაქარია, შესმენილ
იქნა შენი ლოცვა ლკ 1,13

ახლა, როცა ზაქრია მოხუცია, ღმერთი შეისმენს ახალგაზრდობაში აღვლენილ მის ლოცვებს. იგი არც შენს ლოცვას გაატარებს უყურადღებოდ, ძლიერ ძვირფასია მისთვის!

20 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2017 ოთხშაბათი

ეს 7,10-14; ფს 23; ლკ 1,26-38

გიხარიოდენ, მიმადლებულო,
შენთანაა უფალი ლკ 1,28

პირველი სიტყვაა, რაც მარიამს ესმის ანგელოზისაგან. მართებს გახარება! ეჭვგარეშეა, მან შეასრულა ეს ბრძანება. წარმოგიდგენია სევდიანი მარიამი? მრავალი ტანჯვა გამოიარა მრავალ გარემოებაში, მაგრამ მუდამ გულით ატარებდა ღმერთის სიყვარულიდან მომდინარე სიხარულს. ეპყრობი თუ არა მოწიწებით მარიამს? შენც შეასრულე მასთან ერთად ანგელოზის ბრძანება.

21 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

წმ. პეტრე კანიზიუსი, ხუც. და მოძ., +1597

2017 ხუთშაბათი

ქებ 2,8-14 (ან, სოფ 3,14-18); ფს 32; ლკ 1,39-45

თუფალი, ღმერთი შენი,
შენს შორისაა მაცხოვარი სოფ 3,17

ყოველი წინასწარმეტველი იესოს იუწყება. გაბრიელ მთავარანგელოზიც მათ დაესესხა სიტყვებს – *„უფალი შენთანაა“*, როდესაც მიმართა მარიამს. ეს მისალმებაზე მეტად, უწყებაა იმისა, რომ წინასწარმეტყველებანი სრულდება. ეს სიტყვები ჩვენც არაერთხელ გვესმის ღვთისმსახურების დროს: „უფალი თქვენთანა!“. რა შეიძლება იყოს ამაზე დიდი კურთხევა?! ისინი ხომ სიმყარეს, გამბედაობასა და სიხარულს გვაწვდიან.

22 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2017 პარასკევი

1მეფ 1,24-28; საგ.: 1მეფ 2,1.4-8; ლკ 1,46-55

ადიდებს სული ჩემი უფალსა ლკ 1,46

მარიამი ელისაბედის მისალმებას ლოცვით პასუხობს, მეტიც, გალობით. იგი გამოხატავს თავის სიხარულს, სიხარულს, რომელიც მოიცავს ყოველ ადამიანს, როდესაც მის შვილს მიიღებენ და შეიყვარებენ. დიდია უფალი, და მარიამს ჩემთვისაც სურს ამის თქმა, რათა მეც ვუსმინო მას მისებრ, და ვუპასუხო, როგორც მან უპასუხა: „აჰა, მე!“.

23 დეკემბერი

2017

შობის ნოვენა [ს] ი

წმ. იოანე კენტელი, ხუც., +1473

შაბათი

მალ 3,1-4.23-24; ფს 24; ლკ 1,57-66

იოანეა მისი სახელი ლკ 1,63

ყოველ ბავშვს სახელი ეძლევა, სიტყვა, რომლითაც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე მიმართავენ მას დასაძახებლად, გამოსარჩევად, მასზე სასაუბროდ. არსებობს სახელები რომლებიც არაფერს აღნიშ-ნავენ, სხვა სახელები კი სიხარულის მაუწყებელნი არიან, რადგან შეგვახსენებენ ღვთის ერთ სიტყვას ან ნიჭს. ელისაბედის ვაჟს დაარქმევენ *„იოანეს“*, ანუ, *„ღმერთი მოწყალეა“*. ეს ბავშვი მუდამ დარჩე-ბა ყველასათვის კეთილი ამბის მაუწყებლად.

24 დეკემბერი

ადვენტის IV კვირადღე, «ბ», [IV], ი

2017 პირა

2მეფ 7,1-5.8-12.14-16; ფს 88; რომ 16,25-27; ლკ 1,26-38

ნუ გეშინია, მარიამ, რადგან მადლი ჭეროვე ღმერთთან ლკ 1,30

ხვალ ყველანი გავიხარებთ მარიამისაგან მიღებული მადლით. კი მაგრამ, რატომ ეუბნება ანგელოზი, *ნუ გეშინიაო*? რისი შეიძლება შეეშინდეს? ღვთის ნების აღსრულება, მის განკარგულებაში ყოფნა, მოითხოვს ყოველთვის, სწორედაც რომ ყოველთვის, ცვლილებას. ცვლილებები კი გვაშინებს. შენც ნუ გეშინია: ღმერთი როდი გატყუებს, შენს საზიანოდ კი არა გთხოვს რამეს, არამედ შენი და მრავალთა ნატვრის ასასრულებლად.

25 დეკემბერი

2017

ქრისტეშობა, დდ, [ს], თ

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი IXს.

ორშაბათი

ღამის წირვა: ეს 9,1–6; ფს 95; ტიტ 2,11–14; ლკ 2,1–14
დღის წირვა: ეს 52,7–10; ფს 97; ებრ 1,1–6; იო 1,1–18

სიტყვა ხორცი იქმნა
და დაემკვიდრა ჩვენ შორის იო 1,14

რითი განსხვავდება დღევანდელი დღე სხვა დღეებისაგან? რის გამოა რომ დღეს იმისი შეყვარების სურვილი გიჩნდება, ვინც ჩვეულებრივ არ გიყვარს? რატომ მოელი დღეს იმისაგან სიყვარულსა და სალამს, ვისაც დავიწყებული ჰყავხარ? არ იცი? მაშ, მე გეტყვი: დღეს ღვთის სიტყვა, ანუ მამა ღმერთის სიყვარულის სისავსე, მოვიდა ჩვენს შორის. მე და შენ ამას მხოლოდ სიყვარულის ჟესტებით თუ გამოვთქვამთ.

26 დეკემბერი

შობის რვადღეულის II დღე [ს]

წმ. სტეფანე პირველწამებული, დ, [ს], წ

2017 სამშაბათი

საქმ 6,8-10.12; 7,54-60; ფს 30; მთ 10,17-22

ოზურგეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ჩემი სახელის გამო ყველა მოგიმოქლებთ მთ 10,22

იესოს სურს, რომ მისმა მოწაფეებმა იცოდნენ, რას მოუტანს მათ მის კვალში დგომა. არ პირდება იმას, რასაც ადამიანები ესწრაფიან და პირდებიან ხოლ-მე. ამგვარად მოწაფეები ყველაფრისათვის იქნე-ბიან მზად: დაცინვა, შეურაცხყოფა, უსამართლობა და გარიყვა – ეს ყოველივე იესოს სახელის გამო აღარაა და არც იქნება ბოროტება. ესენი მან თავად იწინასწარმეტყველა და მაშასადამე იმის ნიშანია, რომ სწორ გზას ვადგავართ, მის კვალში.

27 დეკემბერი

შობის რვადღეულის III დღე [ს]

წმ. იოანე, მოც. და მახარ., დ, [ს], თ

2017 ოთხშაბათი

1იო 1,1-4; ფს 96; იო 20,2-8

ის, რაც ვიხილეთ და მოვისმინეთ, ვაუწყებთ 1იო 1,3

იოანე მოციქულს ესმოდა ის დიდი დავალება, რაც მას ეკისრა. მაღალ და ღრმა ადამიანურ იდეებსა თუ აღმოჩენებს როდი აუწყებდა და არც შესაშურ ფილოსოფიურ სისტემას. მას, და მის მსგავსად სხვა მოციქულებს ევალებოდათ მოეთხროთ ის ამბები, რაც მათ გადახდათ იესოსთან ერთად, და ის სიტყვები, რაც მისი ბაგიდან მოისმინეს. ამ ფაქტებიდან და სიტყვებიდან ჩვენც ვღებულობთ მამის სიყვარულის ნათელსა და მხურვალებას.

28 დეკემბერი

შობის რვადღეულის IV დღე [ს]

წმ. ჩვილნი ქრისტესათვის წამებულნი დ, [ს], წ

2017 ხუთშაბათი

1იო 1,5 – 2,2; ფს 123; მთ 2,13-18

თუკი ვამბობთ, რომ ფუტკოდველნი ვარ თ, თავს ვიტყუებთ 1იო 1,8

დიდი სიბრძნეა, აღიარო თავი ცოდვილად და მუდამ გახსოვდეს ეს. იოლი და ნამდვილი გზაა თავმდაბლობისათვის, სხვები რომ არ განიკითხო, რომ აბუჩად არავინ აიგდო. მართლაც, როდისაა რომ ამპარტავნება იჩენს ხოლმე თავს? როდესაც მგონია, რომ უცოდველი ვარ, რომ არა მჭირდება ხსნა და მიტევება. ამპარტავნება ყველაზე უარესი სიცრუეა, რადგან მაშორებს ღმერთის თავმდაბლობისაგან.

29 დეკემბერი

2017

შობის რვადღეულის V დღე [ს] თ

წმ. თომას ბეკეტი, ეპ. და წამ., +1170

პარასკევი

1იო 2,3-11; ფს 95; ლკ 2,22-35

ვიცით, რომ შევიცანით იესო,
თუკი ვიცავთ მის მცნებებს 1იო 2,3

იესოს მცნებები სიბრძნეა და ძალა ჩვენი ცხოვრებისათვის, მისდამი სიყვარულის ნიშნებია. როდესაც ვიცავ მათ, განვუცხადებ საკუთარ თავს, რომ იესოა უფალი, რომელსაც უნდა დავუჯერო, ძე ღვთისა, რომელიც უნდა შევიყვარო, წუთისოფლის მაცხოვარი, რომელიც უნდა ვაუწყო!

30 დეკემბერი

შობის რვადღეულის VI დღე [ს] თ

2017 შაბათი

1იო 2,12-17; ფს 95; ლკ 2,36-40

ვინც ღვთის ნებას ასრულებს, სამარადისოდ რჩება! 1იო 2,17

იესომ შენი ნება აღასრულა, ღმერთო, მამაო ჩვენო!
მსურს მას შევუერთდე ყოველ წუთს,
ამგვარად მეც აღვასრულებ შენს კეთილ ნებას.
ვუწყი, რომ შენი ნება ყოველთვის სიყვარულია:
შემაცნობინე ის, მაშინაც კი, როცა რთული იქნება!
როდესაც შენს ნებას ვასრულებ, ჩემში სიხარული
და მშვიდობა ისადგურებს. აჰა, მე, მამაო:
მსურს მსურდეს ის, რაც შენა გსურს!

31 დეკემბერი

2017 პირველ

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «ბ» [ს] თ

დაბ 15,1-6; 21,1-3; ფს 104; ებრ 11,8.11-12.17-19; ლკ 2,22-40

გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იესოს დედასა და მამას უკვირდათ ყოველივე, რასაც მასზე ამბობდნენ ლკ 2,33

დავასრულოთ წელიწადი უმშვენიერესი და უწმიდესი ოჯახის თანაზიარებაში მონაწილეობის მოხმობით. მარიამსა და იოსებს, რომლებსაც იესოს სიყვარულისათვის უყვართ ერთმანეთი სპეტაკი სიყვარულით, უყვართ იესო და ამგვარად ამწიფებენ დიად სიყვარულს ჩვენს მიმართაც. მარიამი ხომ დედაა ჩვენი, ხოლო იოსები სრულიად ეკლესიის მფარველი და მცველი. იესო კი, ძე, უკვეა ჩვენს გულებში. ეს დღე მათ სახლში გავატაროთ, მეტიც, უკეთესი იქნება, თუ ჩვენს სახლში დავპატიჟებთ მათ!